

"რუსეთი "G8" ფორმატიდან არ გამოსუდა"



ჩინეთში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი "G8" ფორმატიდან არ გამოსუდა და "დიდი შვიდიანის" ყველა წევრი მოსკოვში მიიწვია.

" რაც შეეხება რუსეთის "დიდი შვიდიანში" დაბრუნებას – ჩვენ "დიდი რვიანიდან" არც გავსუდვართ. თავის დროზე კორეგებმა გარკვეული თვარსაზრისის გამო რუსეთში ჩამოსვლაზე უარი განაცხადეს. ჩვენ ძალიან გაგვიხარდება ყველა მონაწილეს ჩამოსვლა მოსკოვში," – [აღნიშნა](#) ვლადიმერ პუტინმა.

აშშ–ს პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა სოციალურ ქსელში დაწერა, რომ ის არ უერთდება "დიდი შვიდიანის" საბოლოო განცხადებას. სამიტის პირველივე დღეს მან განაცხადა, რომ „დიდი შვიდიანის“ შეხვედრას რუსეთიც უნდა დასწრებოდა. ფორუმში რუსეთის დაბრუნებას არ ეთანხმებიან სხვა მონაწილე ქვეყნები, მათგან ტრამპის ინიციატივას მხოლოდ იტალიის ახალმა პრემიერ–მინისტრმა დაუჭირა მხარი.

„დიდი შვიდიანის“ სამიტი კანადაში, რა მარბიში 8-9 ივნისს გაიმართა. სამიტის საბოლოო დოკუმენტი, რომელსაც სამიტის ყველა წევრი აწერს ხელს, მწვავედ აკრიტიკებს რუსეთს.

"დიდი შვიდიანი" მტრული სახელმწიფოების საქმიანობის სწრაფი რეაგირების ახალი მექანიზმის ჩამოყალიბებაზე შეთანხმდა. ის ვარაუდობს გაათავსოს დამხმარების მონაცემების გაცვლა მის მონაწილეებს შორის. ეჭვგარეშეა, რომ ჩვენს დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და პროცესებში უცხოური ჩარევა, ასევე სხვა ფორმის

მტრური ქმედებები, წარმოადგენს სტრატეგიულ საფრთხეს ჩვენი საერთო ღირებულებებისა და ინტერესებისთვის“ – [განაცხადა](#) დიდი ბრიტანეთის პრემიერ- მინისტრმა ტერეზა მეიმ.

მისი თქმით, შეთანხმება საჭიროა ინფორმაციის გაცვრისთვის, მოქმედების კოორდინაციისთვის და სტრატეგიის შემუშავებისთვის, რათა გაძდიერდეს დემოკრატიული სახერმწიფოები. მან მოუწოდა დიდი შვიდიანის მონაწილე ქვეყნებს მიიღონ დამატებითი ზომები, რათა „შეიზღუდოს რუსეთის შესაძლებლობა – შეარყიოს სისტემა, რომერიც დაფუძნებულია საერთაშორისო სამართლის საფუძვერზე“.

რუსეთი მსოფრიოს წამყვანი ეკონომიკების მქონე ქვეყნების ჯგუფიდან 2014 წერს ყირიმის ანექსიის შემდეგ გარიცხეს. მანამდე, გერმანიის კანცლერიმა ანგერა მერკვერმა განაცხადა, რომ რუსეთის მონაწილეობით „დიდი რვიანის“ ფორმატის აღდენის შესაძლებლობას ვერ ხედავს.